დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109223601**

თარიღი:**26/12/2022**

,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის, საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 63-ე მუხლისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 დეკემბრის №108-1082235528 წერილის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 08 განკარგულების პირველი პუნქტით შეთანხმებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის თანამდებობასთან დაკავშირებით და ნაცვლად ,,რიგით მეათე - სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი სკოლების კოორდინატორი'' შეთანხმებული იქნეს:

,,(რიგით მეათე)- მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სპეცილაისტი გრაფიკოს-მემონტაჟე.''

2. განკარგულება ამოქმედდეს 2023 წლის 01 იანვრიდან.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი